

კედეასი: სოლოლაკზე, სერ-
გიის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-
ში, № 8-ზე.
კანტორა კედეასი: სერ-
გიის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სა-
ხლში, № 8-ზე.
ხელის-მომწერა მიიღება კანტო-
რაში. მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Тѣхъ.
Въ редакцію газ. „Дროга“.
გაზეთის ფასი: მთელის წლი-
სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან.
და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაშვართ

განცხადება: მიიღება ქართულს,
რუსულს, სომხურს და სხვ. ენაზე.
ფასი განცხადებისა: დიდი ახო-
ვით ასოზე—1 კაპ., ასო-მოაგროვით
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცო-
ცროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.
კედეასის უფლება აქვს გაას-
წიროს და შეამოკლოს დასამუშაო
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელო
სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 6 მაის. „Daily News“-
ში დაბეჭდილია: ლენერალმა ტოტლე-
გენმა გაუგზავნა მსმალეთის მმართველ-
ობას ქალაქი და მოსთხოვა შუმ-
ლისა, მარნისა და ბათუმის დაცლა,
მსლაკიდან მსმალის ჯარის გაყვანა
და ნებართვა, რომ რუსებმა ბუიუკ-
დერე დაიპყრონ. ბუშინ ამ საგნის შესახებ
სტამბოლში იყო მინისტრების კრება
სულთანის თავმჯდომარეობით, რომელ-
სმაც ბევრი ლენერლები დაესწრნენ.
მღეს კიდევ იქნება ამხედვე სჯა. ამბო-
ბენ, რომ მსმალეთი ამ მოთხოვნით
მახედ უარს განაცხადებს.

პარიზი, 7 მაის. „Republique
Française“ ამბობს: შუელოვმა ისეთ
ნაირად გააჩივა საქმე, რომ ინგლისიც
დაკმაყოფილდება და დასავლეთი ევრო-
პაც.

სტამბოლი, 7 მაის. რუსები ორს
ვერსზე მოუახლოვდნენ ოსმალის ბა-
ნაკს და დააყენეს ორმოცი ღრღოანი
ზარბაზნები. რუსები მიადგნენ აგრეთვე
ბუიუკ-დერეს და ბუმელჯის მალიპო-
ლის ძახლობლად. ოსების დათმობაზედა
ოსმალოები არ თანახმდებიან.

პეტერბურგი, 6 მაის. ბუშინ გაემგზა-
რენ სამხედროს გარეთ გრაფი შუელო-
ვი და ლენ. ტრეპოვი.

სტამბოლი, 6 (18) მაის. რუსეთის
ელჩმა ლობანოვ-როსტოვსკიმ მიართვა
ხონტარს თავისი რწმუნებითი სიგე-
ლები.

საქართველო

ამალ-მოამადი საზოგადოებანი

სკატია ზერე და უკანასკნელი

მვირანდელი სტატია ჩვენ გავათავეთ
კითხვით, თუ რისგან არის, რომ ეს სხვა-
და-სხვა ქველ-მომქმედი საზოგადოებანი
ჩვენში ესე უცბათ იბადებიან და უცბად-
ვე ჰქრებიან.

ორიოდე სიტყვით შეიძლება ამის პა-
სუხი მოგახსენოთ.

პირველი და უმთავრესი მიზეზი ის

გახლავთ, რომ ჩვენ ჯერ მიჩვეული არა
ართ საზოგადო საქმისთვის ზრუნვას,
საზოგადო საქმიროებისათვის თავის სა-
კუთარ სარგებლობის დაფიქრებას.

როდესაც რომელსამე საქმეს ეკიდებთ
ხელს, ყველაზე პირველად იმაზე გეი-
ჭირავს თვალი, რომ ეს საქმე სასარგე-
ბლო, გამოსადეგი იქნება კერძოთ ჩვენ-
თვის, თუ არაო. თუ ამ საზოგადო საქ-
მეს არ შეუძლიან ამ თავითვე, დღესვე
ჩვენი სარგებლობის მოტანა, ან ჩვენი
სახელის, ჩვენი ქების საქვეყნოთ გამო-
აშკარება, ჩვენ ვიფიქრებთ იმას, რაც უნ-
და საზოგადო სასარგებლოთ და ხალხი-
სათვის საკეთილ-დღეოთ მიგვაჩნდეს და
რაც უნდა მხურვალეთ მოგვეციდნოს
პირველში იმისთვის ხელი.

ამ საზოგადოებათა არსებობაში ჩვენ
შეგვინიშნავს შემდეგი გარემოება:

თუ საზოგადოებაში ანუ წრეში ერ-
თი მაინც მოიპოვება იმისთანა წევრი, რომელიც
განსაკუთრებით თანაუგრძნობს
საზოგადოების საქმეს, რომელიც მუდამ
ცდილობს იმის საქმეების კარგათ წაყუ-
ნას, რომელიც ყოველთვის იმაზე ჰფი-
ქრობს და სხვებს, დანარჩენ თავის ამხა-
ნაგებს აქვებს, — თუ ამისთანა პირი ერ-
თი მაინც მოიპოვება საზოგადოებაში და
იმასაც მალე არ გამოვლია ენერგია,
საზოგადოება, ავით არის, თუ კარგად
არსებობს, ცოცხლობს და ქვეყანა ჰხე-
დავს იმის ნაყოფს. მაგრამ, თუ ამისთა-
ნა ენერგიული, თავგადასდებული პირი
ერთი მაინც არა ჰყავს, წინათვე შეგი-
ძლიანთ სტკეოთ, რომ ეს საზოგადოება,
რაც უნდა კეთილი და ჰინებული მიზ-
ნით იყოს დაარსებული, სასიკვდილოთ
არის დანიშნული, ერთ-ორ თვის, ერთ-
ორ წელიწადს როგორც იქნება, დღის
კაპანწყვეთით გაატარებს თავის ცხოვ-
რებას და მერე დაღვეს სულს, მიიცი-
ლება.

ამის გამო ჩვენი რჩევა იმ პირებისა-
თვის, რომელთაც რომელიმე საზოგა-
დოების დაარსება ჰსურს, რომელთაც
უნდათ უკვე დაარსებულს საზოგადოება-
ში მონაწილეობა მიიღონ, ეს არის: ჯერ
კარგათ, ნამდვილად დარწმუნდნენ: იქნე-

ბა იმ დასაარსებელს საზოგადოებაში ანუ
დაარსებულში ერთი პირი მაინც, რომელიც
ყულობთა და სულით თანაუგრძ-
ნობს იმას და ენერგიულად ეცდება
იმის წარმატებას, თუ არა. თუ არის
ამისთანა პირი, მიიღეთ მონაწილეობა
და დარწმუნებული იყავით, რომ ეს სა-
ზოგადოება რამე ხეიოს იქს, სარგებლო-
ბას მოიტანს; თუ არა და არა გამოდ-
ება-რა, ტყუილა ნურც დროს ჰკარგავთ
ნურც ფულსა და ნურც შრომას.

შესანიშნავია, რომ ჩვენში ისე ერთი
უბრალო საზოგადოებაც არის ეგრ გაუ-
მართავთ, რომ ესრედ-წოდებული „დი-
დი კაცები“ არ გაურიონ შიგ. აუცილო-
ბელ საქმიროებად ხელვენ, რომ მაინცა-
და-მაინც დიდი გვარის, ძველი შთამო-
მავლობის და ფულიანის, გავლენიანი
კაცები გახდონ მონაწილედ და ხა-
და-ხან მოთავედ ყოველ ამ საზოგადო-
ებისა.

ეს ანგარიში აქვთ, რომ ამ გვარნი
პირნი უფრო დიდ ძალას, საშუალებასა
და მნიშვნელობას მისცემენ საზოგადო-
ებასაო; იმათი შემწეობით სხვებიც მიი-
ღებენ ამ ქველ-საქმეშიო.

ეს შემცდარი ანგარიშია:
ჩვენი ჰაზრით, ათასჯერ უმჯობესია,
რომ საზოგადოება „სახელს“ კი არ ეძებ-
ღეს კაცისას, ეძებდეს იმისთანა პირს,
რომელსაც ნამდვილი შრომა, გულ-
მხურვალე თანაგრძნობა და შემწეობა
უნდოდეს და შეეძლოს იმ საქმისათვის,
რომლის წარმატებაში წაყვანა იმას უკე-
სრნია. საცა საქმის ერთგულებაა, საცა
შრომაა და სურვილი, იქ ფულიც აღვი-
ლად იშოვება და სხვა ყველაფერი ამ
საქმის შესასრულებელად.

უკანასკნელად ვიტყვით, რომ საზო-
გადოებანი, რომელსმაც ამ ორს სტა-
ტიაში ელაპარაკობთ, აუცილებელ სა-
ქმიროებას შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ათას-
გვარ სასარგებლო და კეთილ საქმეების
შესასრულებელად. მაგრამ ისინი თავის
დღეში ევრაფერს მკვიდრს ეგრ დასთესენ
და ეგრ მოიყვანენ ჩვენში, სანამ თვი-
თონ მკვიდრს საუფიქრლო და რიგიან,
შესაფერ საძირკვლზე არ იქნებიან და-
მყარებულნი.

ს. შიგ

მთავრობის განცხადება: 1878 წლის 10 ივნისი

დღისათვის

* ჩვენ გვითხრეს, რომ ცხრა ათასი, რომელიც წესდის დაიჭირეს, იგივე ათასობები ყოფილან, რომელნიც ამა წინათ მკაცრად დასჯილან და ამის გარდა საგარეო მოუკლავთ.

ამაზე პასუხად, რომ წესდის დაჭერის შემთხვევაში, მართალია, მთლიანად დაჭერის საფრთხეა, მაგრამ ვერ დაუჭერიათ. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ მათი წესდის დაჭერის შემთხვევაში, უკანასკნელი მათი ათასობის მანეთი დაჭერის შემთხვევაში, რომელიც აქედამ წავიდეთ.

ამას წინათ იწერებოდნენ, რომ საზღვრის სამართლებრივ კოდექსს ჩვენი მმართველობისაგან სხეულებს სამართლებრივ კარანტინი იყო დანიშნული. მაქვს გასული იწერება ახლა, რომ ის ავანტიურაა მოსაზრებები და ამის გამო ჩვენმა მმართველობამაც მოშალა კარანტინი.

* მთავრობის განცხადება, რომ ისეთი განცხადებები ავანტიურაა და განხილვის საფრთხეა, რომელიც ამჟამად არის ჩვენში, კაცს არ გაუგონია. შვილისა, წითელისა და ცივების გარდა, რადეც საშინელი ყელის ტკივილი გაჩნდა, რომელიც ვინაც შეეყრება, იშვიათად თუ გადაარჩენს ცოცხალსა.

მთავრობის განცხადება, რომ ამისთანა განცხადების ღირს არა ჩვენს პოლიტიკა და არც ექიმის არაფერს არ ზრუნავენ ხალხის სამართლებრივად.

ხშირ წვიმასაც გვწერენ. თუ ერთ კვირას კიდევ ამ წვიმებმა გასტანა, ხალხი ყანებს ვეღარ შეიმუშავებს და წელს ჩვენში სხვა უბედურებასთან შეიშლილი გაჩნდება.

* ახალქალაქის უზენაესი განცხადება, რომ აქ ჩამოვიდნენ პურისა და ქერის მქონეები და ამათგან ხალხი ძალიან შევიწროებული არის, ხან მოტყუებით და ხან ძალიანობით ნახევარ ფასად ართმევენ ხალხს ამ ნაწარმებს და მერე ხშირად ფულსაც აღარ აძლევენ.

მთავრობის განცხადება, რომ ამ გვარს საქმეებში, სამართლებრივად, ხშირად ჩვენი ქართველი ნასწავლი მღვდლებიც კი იღებენ მონაწილეობას და თავიანთ სარგებლობისათვის ხელს უშობენ სხვა-და-სხვა მხრიდან მოსულ პოდრიადნიკებს.

დროშის კორპორაციის

თბილისის ხოლოდგან, 2 მაისს. სასოფლო-სამეურნეო რამდენიმე წინანდელ ნომერში წავითხრებოდა ამას წინათ, რომ ქართლში და მსხრე მგლები დატოვებულან და რამდენიმე კაცი დაუგლეჯიათ.

სხენებულის ბაზეთის აზრით, მიზეზათ ის გამოდის, რომ წარსულს რთველში და შემდეგაც ზამთრისა, სადაც კი საქონლის ჭირი გაჩენილა დაუხმარია, ვისიც ვაღია (მამასახლისებს) ჭირიდან დახმარების საჭიროება მიწაში არ უმარხვინებიათ, და მათის ზეზე ნაყარის მძოვრის კამით ცოფდებიან მგლები. ის ეთქვათ ასე: მაგრამ წარსულს ზაფხულს და რთველში ჩვენშიც იყო საქონლის ჭირი, საჭირო ბევრიც იმსხვერპლა, მამასახლისი ჭირისაგან დახმარების საჭიროებას მიწაშიც თავის ღრუბე მარხვინებდა, მაგრამ მაინც ვერ აცვილდით ამ მოულოდინელს უბედურებას, და აგრე გამოგვიყო თავი სოფ. ბაიბატენში ცოფმა, დღეს მესამე დღეა, სოფ. ბაიბატენში ღორები ცოფდები. ბაღის ყოველ დღე სოფელში მამასახლისი, არჩევს თოფიდან ბიჭებს, და რასაც კი შეამჩნევს ცოფიანობას, ახოცვინებს თოფით და მარხვინებს მიწაში.

სოფლის გაჩენა ს. ბაიბატენში მოხდა შემდგომის მიზეზით: როგორც ლაპარაკობენ, საათის თორმეტი იქნებოდა, როცა მივარდნილა დამე მგელი ამ სოფელში და შევიარდნია ერთს იმავე სოფლის სახლის ღერფთან, სადაც ჰყოლია დამწყვეთი იმ ქამად რამდენიმე ღორი და ერთი მათგანი დაუგლეჯია. ღორების ხმაურობაზე გამოვიძვებია სახლის პატრონი გამოუხედნია გარეთ და დაუნახამს მგელი ღორების წინ ჩამოხდარი, და ერთი ღორი დაგლეჯილი იმავე მგლისაგან; მაშინათვე გაუგებია ხმა სოფელში, მოშველებიან რამდენიმე კაცი და მგელი ადგილობრივი იქვე მოუკლავს.

ის დამე და მეორე დღე მერაფერი, მესამე დღეს გაცოფდა დაგლეჯილი ღორი, და დაუწყო სხვა ღორებს ტანება საკენლათ. ის მოაკვლევინა მამასახლისმა, ახლა ორი ღორი კიდევ სხვა გაცოფდნენ, ისინიც დაახოცვინა; და ეხლა კიდევ სამი ღორიც დღეს გაცოფდნენ, რომლებიც აგრეთვე დაახოცვინა მათი ამ პირთაგან, რომელთაც მოუკლამს სხენაბული მგელი, ავით გამხდარა და ამ ავით-მყოფობას აბრალებენ სხენაბული მგლის მოკვლის გამო ცოფს.

სოფ. ბაიბატენში მცხოვრებნი შიშისაგან თავ-ზარ დაცემულები არიან; ეტყობათ ცოფი იმათ ჰგონიათ სახლი და ეშინიანთ ყველას არ გადაედოს. მათის სიტყვით, იმედი გადუგდიათ, რომ ისინი გაუცოფებლად ვეღარ გადაარჩებიან, თუ არ სოფელურის დარიგებით და ღონის-ძიების ხმარებით! ღარბიან აქა-იქა სოფლებში წამლების საშოვნელათ, და ძალიან ადვილათა მოუკლ-

ბენ უფასოთ ცოფისაგან გადასარჩენს წამლებს! ზოგს მკაცრად გრძელდება ბუზი, ზოგს ბუზანაა და ზოგსაც კი დღე სხვა. . . ლესამენ ლენოში და სვამენ, მარგებელია თუ მანებრი, ის მართლმეტყველებს იცის!

ახლა ესრეთის შემთხვევის საზოგადოებაში აღმოჩენა მთავრობასა აქვს მამასახლისისაგან მოხსენებული, და დღე-დღე მოვლიან ღუმელად დოქტორს და თუ დოქტორიც ღრუბე არ მოვიდა, შესაძლებელია უჭირველებიც სულ ავით დახდნენ, თორემ ჭირიანებს რაღა იხსნის.

ბა. ბელოვილი
ს. ბარბაქაძე

ოქმის აზრები

ოქმისთვის მზადება

ნუტ-უბანი, 2 მაისს. (დროშის კორპორაციის განცხადება). ჩვენს—მთავრობის ატრიადში ამ უკანასკნელ ღრუს შესანიშნავი და ყურადღების ღირსი თითქმის სრულიად არა ხდება-რა.

ამ ერთი თვის წინათ, მსმალის ჯარსა და ჩვენ ძალიან ხშირად გვქონდა ერთმანეთში მისელო-მოსელო, პატივობა, ფეშქაშების (საჩუქრების) მიტანა და სყიდვა-გასყიდვა.

მართალი გითხრათ, ამ მომენტებში მშვიდობიანობამაც კი თავი მოგვაწყინა: არავითარი ღრუბის გატარება, არავითარი სხვა-და-სხვაფერობა არ არის ამ ჩვენს ცხოვრებაში; დღეს ისე ვატარებთ ღრუბებს, როგორც გუშინ და წინათვე ვიცით, რომ ზეგაც და ზეგაც ისე უნდა გავატაროთ, როგორც დღეს. ამ ერთგვარობა, ერთფეროვანმა ცხოვრებამ თავი მოგვაბეზრა და უნდა გაგიტყდეთ, დიდის სიამოვნებით მოველით იმ დღეს, როდესაც აქედამ დავითნოვენ და ჩვენს ცოლ-შვილში, ჩვენ მეგობარ-ნათესაებში წასვლა და იმიოთი ხილვა გველირება.

მაგრამ ახლა კიდევ ახალს ომზე ლაპარაკობენ... მართლაც ძლიერ გავათავეთ საქმე, მეორე გვიპირებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებას.

მართველ დროუწინაში გავრცელებულია ხმა, რომ, თუ კიდევ იქნა ომი, მუთისის გუბერნიიდან ოთხი პოლკი იქნება გამოწვეული, ორი ცხენოსანი და ორიც ქვეითი.

ბ. ნიკოლაშვილი

სტამბოლის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 27-ს აპრილს ბათუმადამ მიღებული:

რუსის ჯარმა აიღო ლიზანა ბათუმის სამხრეთით (?) მსმალის გარნიზონმა უკან დააწია, რადგან რუსები ერთი-ორად მომეტებული იყვნენ.

ზაზ. Indep. Belge-ში დაბეჭდილია სტამბოლიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, მსმალის და ინ-

გლისის სამხედრო მთავრობამ იზიდავს დაბანაკებული ჩერქესების უფროსობა შამილის შვილს შაზი-შაჰმა შამილს მიანდოვო.

რუსული გაზეთების დეკემბერდამეტუბულობით, რომ გალიპოლის ნახევარკუნძულზე, სტამბოლში და იმის ახლო მახლო ადგილებში მსმალალებს ამჟამად 140,000 კაცი ჰყავთ საომარდ მომზადებრილი. მენის გაზეთ „Presse“ ში იწერებთან ლონდონიდან, ინგლისში ჯერ-ჯერობით 8,000 კაცმა განაცხადა თავის ნებითა ჯარში ჩაწერა და რუსეთის წინააღმდეგს ორში მონაწილეობის მიღებაო. შოველ დღე კიდევ ეწერებთან ვოლონტერებო.

საგაასო

პასუხი უ. ზ. თუმანიშვილის *)

საჭიროთა ესთელი მოვიყენო აქ ქალაქის რჩევაში შეტანილი წინადადების ჰაზრთ:

„მუთაისის ეჭირებდა ერთი დიდი ზალა მაინც, რომელიც გარდა იმისა, რომ საჭირო იქნება ხელმწიფე იმპერატორის სახლობის წვერთა მისაღებათ, როცა ისინი ინებებენ ჩვენში მომზადებას, წარმოდგენებისათვის, ბალებსათვის და სხვა შემთხვევებისათვის, — გარდა ამისა მიუცილებელათ საჭიროა ქალაქის ამორჩევი ბისათვის. ამორჩევა უნდა მოხდეს ყოველ ოთხი წლის შემდეგ, აღმორჩეულების რიცხვი უსათუოთ თან-და-თან მეტი იქნება. ამასთან თუ მივიღებთ ყუჩადლებაში, რომ ეს ამორჩევები უნდა იქნეს წელიწადის ცივ დროს, დეკემბერში, რომ აღმომჩეველების რიცხვი 2,000-მდის შეაწევს, რომ ყველაზე უღიღესი ზალა მუთაისში, — სამეფო-სახლში, სადაც აწყობდნენ საზოგადოებათა კრებებს და ამორჩევას, სრულიათ გაფუჭდა და გამოუღეგარი შეიქნა, — თუ მივიღებთ ყველას ამას ყურადლებაში, დავინახავთ, რომ ზალის ქონება ძლიერ საჭიროა.

რასაკვირველია, ზალის მოწყობა ისე, რომ აკმაყოფილებდეს ზევით მოყვანილს საჭიროებას, მოითხოვს გვარიან ხარჯს მაგრამ რადგანაც კიდევ არის მუთაისში მეორე — დაწესებულება, სააზნაურო ბანკი, რომლის ამორჩევებისათვისაც საჭიროა ამ გვარივე ზალა, ამისათვის შეჰსდება ჰაზრი, რომ გაკეთდეს შენობა ქალაქისა და ბანკის შეერთებულის საშუალებით. ამ შენებაში უნდა იქნეს სადგომები ორივე დაწესებულებათათვის ბანკისა და ქალაქის სამმართველოათვის და საზოგადო ზალა.

ამ წინადადებაში ჩვენ არ ვეხებით კერძო კონხეების განხილვას. ჯერ-ჯერობით საჭიროა მიღებული იქნეს უმთავრესი ჰაზრი საზოგადო შენობის მო, პოებისა, და კერძო კონხეების გაჩევა მინდობილი იქნეს ქალაქისა და ბანკის შეერთებულ კომისიასზე.

„თუ ეს საქმე პაქტიკულთ და ეკონომიურათ იქნება წაყვანილი, დახარჯული მანედ ფული ადგილათ შესაძლებელია დაიფაროს ოც წელზე ნაკლებ ვადის განმავლობაში იმ ხარჯით, რომელსაც ქალაქი ჰხარჯავს სამმართველოს სადგომისათვის, და აგრეთვე შემოსავლით. შენობის იმ ნაწილებისაგან, რომელნიც შეუძლია ქალაქს გააქიროს; შეიძლება ამ შენობაში იქნეს გარდა საზოგადო ზალისა, ქალაქის სამმართველოს და ბანკის საზოგადოებისა ალაგი სხვა სამმართველო და საზოგადობრივ დაწესებულებათათვის: აზნაურობის დეპუტატთ კრებისთვის, სურთოერთო ნდნბის ბანკისათვის, რომელიც მოსალოდნელია მალე გაიხსნება მუთაისში, და სხვ.

„არც ის უნდა გაუშვათ უყურადღებოთ, რომ ქალაქსა აქვს ბევრი მასალა ქვის შენობისათვის: მქლარის ქვა, კირი, რომელიც შეიძლება დაიწვას საღორიის ადგილში, სადაც საკრე ქვაც არის და შეშაც; ქალაქსა აქვს საკუთარი მიწა ქალაქში, რომელიც შეიძლება პირდაპირ გამოსადეგი დარჩეს შენობის და სადგმელათ, ან გაიცვალოს სხვა ადგილში, რომელიც უფრო მოხერხებული იქნება, ანა და გაიყიდოს და მის მაგიერი სხვა მოიპოვოს. მართებლობამ უკვე გადაწყვიტა საზოგადოთ, რომ ის ადგილები, რომელნიც ქალაქებში დაჭერილნი ჰქონდა მას (მართებლობას) თავის საჭიროებისათვის, დაუბრუნდეს პატრონს. მუთაისში ამნაირათ გადაწყვიტა კიდევ იმ ადგილის საქმე, რომელიც დიდხანია დაჭერილი იყო კაზარმებით. მსადგილი ახლა აღარაა საჭირო მმართველობისათვის.“

ბი ეს არის რჩევაში შეტანილის წინადადების საფუძვლები, შემოკლებით მოყვანილნი.

მეც ეს ესთქე ჩემს კორრესპონდენციასში, რასაკვირველია, უფრო შემოკლებით და საზოგადო სიტყვებით. მე ამ საფუძვლებზე მაინც ვაყავი დამყარებული, როცა ვამბობდი, სახლის აშენება საჭიროა და შესაძლებელი-თქო; უ. თუმანიშვილი კი იძახის, რომ არც შესაძლებელია, არც სასარგებლო, და სანაუარიც იქნებაო; მაგრამ რატომ! — არ ამბობს. მართო ერთათ-ერთი ადგილია უ.

თუმანიშვილის წერილში ისეთი, რომელსაც მისი ჰაზრით დამაროვევლი საბუთის მნიშვნელობა აქვს: „დამაზალა ერთი ვეება კითხვება: იცის შიჭინაძემ,

„რამდენი გასესხებული, ანუ ბანკში შეტანილი ფული აქვს მასა (ქალაქს)? შეუტყვი, თუ არა, რომ მუთაისის შემოსავალი უფრო ნაკლებია, ვიდრე მისი აუცილებელი ხარჯი იტის თუ არა, რამდენი რამე, ისე საჭირო, როგორც სასმელი წყალი და საჭმელი პური, ეჭირება ამ ჩვენ მუთაისს და ეჭირება უმეტეს, ვიდრე სასახლონ აშენება ათასი კაცის დამტევი ზალითა? —

„ბატონო, თქვენი სიტყვა მეტათ ზეშმარიტია, მაგრამ მის საფუძველი ზეჩრაცის გაუგია. შესაუთო კითხვებით გინთად ვაქს თავი გაუბრუოთ? რათ არ გვიჩვენეთ ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, ვალის რიცხვი და სასმელ-საჭმელსავით საჭირო მოთხოვნილებანი? რათ არ დაგვანახეთ წინადადების უსარგებლობა? მართო კითხვებით სერირობა საზოგადო მოქმედების ასპარეზზე როგორ შეიძლება? ამნაირათ ზომ ვერც ერთი წინადადება შეიტანება და ვერც დაიბრევა! ზომ გაგეცინებათ, რომ თქვენს კითხვებზე სხვადაც კითხვებით მოვიგოსთ? თუ რომელსამე საქმეს მავნებელათა ჰსთვლით, დანახეთ საზოგადოებას საქმის განხრეკით და საბუთიანის სიტყვით. მე საჭიროა, რომ საზოგადოება არ მოსტყუედეს და მავნებელი გადაწყვეტილობა არ მიიღოს. თუ კი დაგვანახებთ, რომ თქვენი „თეთრი“ თეთრია, სირცხვილი არ იქნება დაგეთანხმოსთ ვინმე.

ა. შიჭინაძე

დასასრული შემდეგ №-ში

ახალი ტაქსა ბირჟის იზომოსჩიპებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამდანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა-

	ფაეტონის	დროუკის
მართი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდან — ნავთოულს	80 „	50 „
— მუშტაიდან —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან „		
საათი გაჩერება 1 მაწ.	20 „	90 „
რკ. გზიდან ნავთ.—	2 „	1 მაწ. 50 „
— დამოქნამდინ —	1 „	50 „ 1 „ —
— ქალაქ. ყველგან 1 „	— „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	80 „	— „ 50 „
— ნავთოულიდან 1 „	50 „	1 „ —
რკინის გზამდინ და		
უკან — — —	1 „	30 „ — 90 „

შენიშნება ა). ორ ფუთამდინ ბოგაქისათვის იზომოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნება ბ). ნაშუალანევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი.

ჭაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის
1 მან. და 20 კაპ., დროჟის—40 კაპ.
საათის—80 კაპ.

განცხადებანი

ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვადვილი
მასილი აბაშიძისა
ისყიდება: თფილისში—მართანო-
ვის წიგნის მაღაზიაში.
ჭუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის
ბიბლიოთეკაში.

ყაფვილ კაცს

ყადვიწივით მცოდნეს ურანო-
ჭულის ენისას ჰსურს აძლიოს ამ ენის
პრაქტიკული და თეორიული გაკვეთი-
ლები. თუ საჭირო იქნება თანახმა
სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში
წაჰყვას მსურველს, ანუ თვით ქალაქში
დადგეს ოჯახში. ადრესის შეტყობა
„დროების“ რედაქციაში შეიძლება.

გამოვიდა და ისყიდება

„სოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა
ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგ-
ნის მაღაზიებში და ალექს. ჯიმშერო-
ვან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილ-
თან, ქარელს—ლევით მეროხაშვილ-
თან, ხაშურისა და ბეჟაბუბნის
უჭეტში, სურამს—ზაქარია არუ-
წოვთან, ჭუთაისს—იაკობ მჭან-
ჯოვთან და სვ. სერვაძესთან ფოთში
—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს
—თ. ივ. მატეაძესთან, სპიჯაშეთს—
თ. ნიკ. ღიასამიძესთან, მეფეგარის-
ხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორ-
ში—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავ-
ტორთან.

თფილისის ქალაქის საავთმყოფო
ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს თა-
ვის შეიღებს ყვავილი აუტრას, შეუძ-
ლიან მიმართოს საავთმყოფოში ორ-
შაბათობითა და პარასკეობით, დილის
ათი საათიდან შუადღემდინ. აქ უტრიან
ყვავილს ექიმის ხელმძღვანელობით.

წარიბებს მუქთად აუტრიან ყვავილს
და ვისაც შეუძლიან, ექვსი შაური უნ-
და შეიტანონ.

თფილისის ქალაქის გაგზავნისაგან
ქალაქის გაგზავნა ამით აცხადებს
საყველთათ, რომ, იმის თანდასწ-
რებით, ამ 10 მაისს იქნება მხოლოდ
ერთხელ გაგზავნა ქალაქის 1300 შან-
რის ნავთით განათმობისა იჯარით
მიცემაზედ.

მსურველს შეუძლია პირადად განაც-
ხადოს ქალაქის გამგეობაში თავის პი-
რობები (ფასები) ვაჭრობის დროს; შეი-
ძლება აგრეთვე დაბეჭდილი კანცერტით
წარდგენა თავის პირობებისა.

ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი
კონდიციები (პირობა) მსურველს შეუძ-
ლიან ნახოს უპირადად მუდამ დღეს
უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან
ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ჭუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიო-
თეკაში ისყიდება:

- 1) დედა მნა, ი ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუპა ბატონიშვილი, ისტორიული
მოთხრობა ბრ. ჩხელოვისა ფასი 20 კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? კო-
მედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
- 4) ვეშხვის ტაშოსანი, შოთა რუსთვე-
ლისა, ფასი 50 კაპ.
- 5) მეფე ლირი, დრამა შექსპირისა,
ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქარ-
თული და სახელმძღვანელო რუსული
წიგნები კარტები, ატლასები, სურათები
და სხვ.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქმენის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-
დაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომ-
მელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთ-
თვის სასყიდლოდ ექარებათ, რომ ამ
ქარხანაში კმთდებან და გუდაგ მოი-
პოვებან დამზადებული უოველგვარი
ტყავი წალავისთვის, უნაგირისა, ქარ-
ბის და ფაბრიკებისა, ჩამოვებისა ლა-
ნისა და სხვ.

წარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ
საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტო-
რაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრე-
თვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუქვე-
თოს და გაუქვებენ. წერილ-წერილად
ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღა-
ზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25-16)

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში
„დროების“ რედაქციაში, ჭუთაისში—
ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ბატონის შვილი

ირაკლის პირველი დრო

ანუ თავდადება ქართვალთა

გამოცემული ზაქარია ჰიჭინაძისაგან.
ფასი ემხისა უაური

იგზავნება და მოკლე ხანში გამოვა

თავარდულოვანი

მოთ-მოქმედებიანი ტრაგედია
ზადაკეთებული ბრ. ჩხელოვისა რე-
მანიდან—თავარ სამართვალს გა-
ბონიშვილი.

კ. მესხისაგან

(5-3)

რ.ა. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ბელგრაუში	მ. კაპ	მაზანდა	მან. კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 4 მაის.		ქრევის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ჭუთაისს, შოთს	1	შვე. თ.თ. ბანჯისა, ფო.	2	სახლებში.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ღუშეთს, სილნალს	50	შვეილი წითელი	170	ავთმყოფებს მიიღებენ უოველ დღე,
ხაშური	12 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი	140	კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას	2	ბაზა ქრევისა, ფუთი	750	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : ქიურჩიანც—ხი-
ქვირილი	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შევიტარიში	3	— ამერიკისა, ფუთი	850	რურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყოფ.
რიაზი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტილი ბაზა ფუთი	11	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : მერმიშვილი შინაგ.
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლანდში	3 75	მატული თუშური ფო.	620	ავთმყოფობის, რეისი და ბაბუტონი
აბ-სენაი	—	—	8 57	4 76	ფოშტა		—თარაქამისა ფო.	360	—ბეზიბაობის თვალის.
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, ქუთაისს, რუსეთს—უოველ დღე		აბრეშუმი ნუხური სტ.	2	მ. თ. ს. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : მერმიშვილი—შო-
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ქონი, ფუთი	540	ნაგანი ავთმყოფ., ბაკეტა—გულის და
აბ-სენაი	—		1 18	- 66	მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს— სამშ. და შაბ.		ქონის ხანთელი ფუთი.	8	ნერგების ავთმყოფ.
სამტრედია	11 16		2 61	1 14	ბ) ჭუთაისიდან:		სტეარინის სამთელი, ფ.	13	ხ. უ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : მერმიშვილი—შო-
რიონი	12 13		3 41	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—უოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	81	ნაგანი ავთმყოფ. ბავრისსკი—ქალის
ქვირილი	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ. ზურგეთს— ორშ. და პარასკ.		—ცხვრისა, ლიტრა	81	და მ. ბრესტი—კბილის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		სპირტი, ვედრო	520	პ. ა. რ. ს. კ. ე. გ. : მერმიშვილი—შინაგ.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	და სამზღვარ გარეთ:		შაქარი, ბროც. ფუთი	830	ავთმყოფ. ბაბუტონი და ქიურჩიანცი.
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	ლა წიგნის	4	—ფხვნილი ფუთი	620	მყდობის, რე-ნი—თვალის ავთმყოფ.
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	შავა გრგვალ, გირვ.	70	და ბაკტი—გულის და ნერგების.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			ზეთი ქუნჯულისა ფუთ.	12	
							თამბაქო, ხაშულო ფუთი	850	